

საპარტუზო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პარტუზოტა რესპუბლიკური საპარტუზო კომიტეტის

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 დეკემბერი, შაბათი, 1989 წ.

№ 245 (10 164) • შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა

რეკომენდაციები — ღირსეულად!

სპორტსმენების გარდასა და ამის, იმ აუტომატურად წავლილ და დამსახურებას, რასაც ისინი ქართველი ერის წინაშე იმსახურებენ, მუდამ სიამაყით და მადლიერებით აღიქვამს მშობელი ხალხი. საზოგადოებრიობა ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებს ჩვენი ახალგაზრდობის ამ საუკეთესო წარმომადგენლებს. არ არის დასაშალო, რომ რჩეული და პერსპექტიული სპორტსმენები, თავიანთი მიღწევებით იმსახურებენ გარკვეულ შედეგებზე, მატერიალურ თუ მორალურ მხარდაჭერას, წახალისებას და ხელშეწყობას. ასეთ ყველა ქვეყანაში, განსხვავებულია მხოლოდ დასაშალოების ფორმები. არაერთხელ თქმულა ვიწრო წრეში და ახლა ალბათ, ერთხელ კიდევ, საჭაროდ უნდა ითქვას: ჩვენი სპორტსმენები, ისევე როგორც ყველგან, დიდ დროს და ენერგიას აწარმოებენ ყოველდღიურ ვარჯიშში, ხანგრძლივად არიან მომზადებული ოჯახს თუ სასწავლებელს. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, როგორც საერთოდ ქართული სპორტის, ისე სპორტსმენების, და მათი მშობლების ინტერესები. სპორტსმენებს ენიშნებათ დამატებითი მეცადინეობები სკოლაში გაცდენების ასანაზღაურებლად. თანადგომის ინტერესების უგულვებელყოფა შეუძლებელია მაშინაც, როცა უკვე ღირსეული სპორტსმენი სკოლაში ამთავრებს და შესვლას აპირებს უმაღლეს სასწავლებელში. აი, აქ დგება სპორტსმენ-ამბიტურიენტთა რეკომენდაციის საკითხი. მაგრამ ვის მიეცეს რეკომენდაცია, როგორ გინდა ობიექტურად და უმტკივნეულოდ გამოაყოს უამრავთაგან ის, რომელიც უფრო იმსახურებს წახალისებას? აი ამ მიზნით დგება კრიტერიუმი, რომელიც, როგორც კანონი, საფუძვლად ედება რეკომენდაციებს სპორტის ამ სახეობიდან ღირსეულთა შერჩევისას. უპირველესი მოთხოვნაა სპორტული შედეგი და მხოლოდ შედეგი, მაგრამ, ვიმეორებთ, სახეობათა სპეციფიკის გათვალისწინებით. ქვემოთ გთავაზობთ ახალ კრიტერიუმს, რომელიც ამას წინათ შეიმუშავა საქართველოს სპორტსაზოგადოება.

1990 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხავად რეკომენდირებულ სპორტსმენ-აბიტურიენტთა შერჩევის მოთხოვნები

1. საბჭოთა კავშირის ნაერბი გუნდების წევრები და კანდიდატები ყველა ასაკობრივ ჯგუფში — საკავშირო სპორტსაზოგადოების ოფიციალური სიების საფუძველზე.
2. უმაღლესი ლიგის ძირითადი გუნდების წევრები კალათბურთში (ვაშები), წყალბურთში (ვაშები და ქალები), რაგბიში; ფეხბურთში, კიბურთში.
- პირველი ლიგის ძირითადი გუნდების წევრები: ფეხბურთში, კალათბურთში, ბალახის მოკიში (ვაშები და ქალები), კალათბურთში (ქალები), ფრენბურთში (ვაშები და ქალები), ხელბურთში (ვაშები).
- შენიშვნა: სპორტულ თამაშებში სპორტსმენთა სიებს განაცხადის საფუძველზე რეკომენდაციას უწყევს უფროსი მწვრთნელი, ამოწმებს შესაბამისი განყოფილების გამგე და უთანხმებს საქართველოს სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს (კურატორს).
3. სპორტსმენები, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში და პირველობებში ან სსრ კავშირის ჩემპიონატებში დაიკავეს I-III ადგილები.
4. მოსწავლეთა საკავშირო სპორტკლასის მონაწილენი. სია მტკიცდება საქართველოს სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის (კურატორის) მიერ.

კავშირები

სპორტსაზოგადოება

რესპუბლიკის სპორტსაზოგადოების სისტემატურად უწყევს მატერიალურ, მათ შორის ფინანსურ დახმარებას, არა მარტო სპორტსმენებს და სპორტის მუშაკებს, არამედ ცალკეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომლებსაც ესაჭიროებათ ფულადი სახსრებით მხარდაჭერა.

გუმინ ახალი ცნობა მივიღეთ. საქართველოს სპორტსაზოგადოება ახალშექმნილ ინვალიდთა ასოციაციის ფონდში გადარიცხა 10 ათასი მანეთი, ხოლო 5 ათასი მანეთი გაიგზავნა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებასთან შექმნილ სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური ფონდის ანგარიშზე.

მეზობელ კოსტაშის ფონდში

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კლუბის საქველმოქმედო ნუსხას კიდევ ერთი ჩანაწერი შეემატა — კლუბმა 30 ათასი მანეთი გადარიცხა მეზობელ კოსტაშის სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში, თანა, რომელიც ფონდში გადარიცხა, არის მინიფეხბურთში მ. მესხის საერთაშორისო ტურნირიდან მიღებული შემოსავალი.

ეს რედაქციას აცნობა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ასათიანმა.


გუზინ...

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სახსრებში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და კიევის „ბუდევნიკის“ კალათბურთელთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მახინძლებმა — 88:74 (48:36).

იხ. 80-3 გვ.

პარტამ — სპორტის ეს უაღრესად ხანტერის სახეობა მეორედ იშვა ჩვენში. 80-იანი წლების დასაწყისში იგი დიდი ენთუზიაზმით დაინერგა და რესპუბლიკური ფედერაცია შეიქმნა, მაგრამ... შემდეგ კარატე აიკრძალა და კვლავ არაღივალურ ცხოვრებაზე გადავიდა.

ამ დღეებში გაიმართა თბილისის ჩემპიონატი კარატეში, რომლის ერთ-ერთ მომენტს აქვე გთავაზობთ, შეჯიბრების შესახებ კი დაწვრილებით „ლიტოლს“ უახლოეს ნომერში მოგიტოვებთ.



გაზეთის დაგეგმვის ნიშ

11 12 1
10 9 8
7 6 5 4 3 2

ახალი კავშირი

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა მოკლდრავთა დამფუძნებელმა ყრილობამ, რომელმაც შექმნა ახალი ორგანიზაცია — სსრ კავშირის საკლდრავო კავშირი. ახალი სპორტული ორგანიზაციის დამფუძნებელი არიან ცნობილი დიოხტატები გარი კასპაროვის ხელმძღვანელობით.

ყრილობამ მიიღო კავშირის წესდება.

გვინდა საჭადრაკო კლუბი

1962 წელს, როცა ნ. გაფრინდაშვილმა პარდაკი ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, მას შემდეგ საქართველოში ამ ბრძოლაში თამაშმა უდიდესი აღმავლობა განიცადა. ჩვენ აქ აღარ შეუძლებელია ქართველ მოკლდრავ ქალთა და ვაჟთა წარმატებების ჩამოთვლას, ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიო სარბიულზე აღიარებას და სხვა. ამ წერილში შევეცდებით საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი რაიონის დუშეთის საჭადრაკო წარსულს და დუშეთის პარდაკის მოყვარულების ერთსულსა და სურვილს რაიონში საჭადრაკო კლუბისა და საჭადრაკო სკოლის შექმნის თაობაზე.

ცოტა რამ ახლო წარსულიდან. პარდაკის ბევრმა მოყვარულმა და გულშემატკივარმა შეიძლება არ იცოდეს, რომ შეცდიაში მცხოვრები მოკლდრავი, ჩვენი თანამემამულე კოლეგა კარგად, რომელიც საერთაშორისო ოსტატის წოდებას ატარებს, წარმოშობით დუშეთის რაიონის მკვიდრია. იგი, როცა თბილისის გ. გოგლიძისაში მიღწეულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, დიდი ცნობისმოყვარეობით მოინახულა მშობლიური მიწა-წყალი. წარმოშობით დუშეთის რაიონის სოფელ ჩირიკის მკვიდრია სპორტის ოსტატი პარდაკი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ციური კობაიძე.

1968 წელს დუშეთის სტუმრები იყვნენ ფილეს მაშინდელი პრეზიდენტი, მსოფლიო ექსპერტიზის, პოლანდიელი მაქს ივერდის ცნობილი დიოხტატის სალო ფლორი, რომელიც საინტერესო ლექსია, ერთდროული თამაშის სენსები და მახვილი იუმორი დღესაც კარგად ახსოვთ პარდაკის დუშეთ გულშემატკივრებს.

იმავე, 1968 წელს, დუშეთში ჩატარდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, რომელსაც დუშეთის რაიონის კულტურის სახლმა უმასპინძლა. აქ შეჯიბრების ადგილად შემთხვევით არ გვიხსენებია კულტურის სახლი.

დუშეთის რაიონს და ქალქ დუშეთს არც წარსულში და არც დღესდღეობით არ გააჩნია საჭადრაკო კლუბი.

ამ ფონზე გულდასაწყვეტია, რომ სპორტის ესოდენ პოპულარულ სახეობას დუშეთის რაიონში არ ექცევა სათანადო ყურადღება. ძნელი გასახსენებელია, თუ როდის ჩატარდა ბოლო დროს მეტაკლებად მნიშვნელოვანი და ხანტერის საჭადრაკო ღონისძიება დუშეთში და ამაში ვერც დადასტავებულა ადგილობრივი სპორტის მესვეურებს, რადგან, არ არიან კვალიფიციური მწვრთნელები, კვალიფიციური მსაჯეები. მოსწავლე ახალგაზრდობამ და ასაკოვანმა პარდაკის მოყვარულებმა არ იციან პარდაკის ელემენტარული ანბანი, საჭადრაკო ანოტაცია და სხვა. არა და, განა დუშეთის რაიონში არ არიან ნიჭიერი ბავშვები, ახალგაზრდები, რომელთა ხელის შეწყობით შეიძლება განავითაროთ თავიანთი საჭადრაკო ნიჭი?

უძრავი წლებში დუშეთის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების


წინაშე ბევრჯერ დასმულა საკითხი საჭადრაკო კლუბის შექმნის თაობაზე. იყო დაპირებები, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. ახლა კი დადგა დრო სერიოზულად ვიზრუნოთ დუშეთში საჭადრაკო კლუბისა და სკოლის შექმნაზე. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ და მოვამზადოთ ნიჭიერი, პერსპექტიული ბავშვები, მთელ მშრომელთა შორის პარდაკი ვაქციოთ აქტიური, შინაარსიანი დასვენებისა და თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების საწინდარ. გვინდა შეიქმნას საჭადრაკო კლუბი, რომელსაც ექნება იურიდიული სტატუსი და იმუშავებს თვითდაფინანსებაზე რაიონის წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების სავალდებულო წლიური საწევრო გადასახადით ან დამყარებული იქნება რაიონის რომელიმე ფინანსურად და მატერიალურად ძლიერ ორგანიზაციაზე. ამის საფუძველზე არც საჭადრაკო სკოლის გახსნა იქნება ძნელი.

დუშეთის პარდაკის მოყვარულებს დიდი იმედი გაუქვს რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ენთუზიასტი ხელმძღვანელებისა, რომლებიც აქტიურად გამოგვხმავდებიან და პრაქტიკულად დაეხმებიან ამ საშეღიშებლო საქმეში და თუ კლუბი უახლოეს მომავალში შეიქმნება, ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა მას ბინა დამკვიდრებინა დუშეთის კავშირგაბმულობის გამოთავისუფლებულ ძეგლში, მაგრამ ცარც და მოზიდული შერობაში. კარგი იქნებოდა ამავე კლუბში 1991 წელს ჩაგვეტარებინა დიდი ქართველი პოეტის ვაჟ-ფშაველის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი, სადაც მოწვევული იქნებოდნენ ჩვენი სახელოვანი მოკლდრავეებიც.

ავიხსენებთ თუ არა დუშეთის პარდაკის მოყვარულებს ეს ოცნება?

რაზო მარცვალაშვილი,
საჭადრაკო კომპოზიტორი,
სოფ. ჩარგალი.

რამდამცინიანა: წერილის ავტორი ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორია და ცხოვრობს დუშეთის რაიონის სოფ. ჩარგალში. იგი მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია და ცხადია, იგი მოერიდა წერილში საკუთარი წარმატებების წარმოჩენას.



დანარჩენი — მოგაგულ ნაღს

მოსავლეთა მოტივი საკვებ-რო სპარტაკიდა მომავალ 1990 წელს გაიმართება და ახლა ყველა რესპუბლიკაში, ცხადია, ნაკრები გუნდების მომზადებისთვის იჭერენ თაღის. ორივე დღის წინ თავის სუფალი სტილის ნოჩ მომზადება შეგებრება გაიმართა თბილისში — წლევედელი წლის ბოლო „დიდი დათვალეობა“.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს პირადობის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში იასარჩეს მომავალ სპარტაკიდაზე ჩვენი მთავარი მეტოქეების — სომხეთის, უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს მოკიდევდები, სულ 270 სპორტსმენმა. მასპინძლებმა ამაყად უპირატესობით გაიმართეს, 12 წონითი კატეგორიიდან მხოლოდ ერთში დათმეს პირველი ადგილი.

გაგანობით გამარჯვებულითა ფინალის წინითი კატეგორიების მიხედვით:

40 კგ. რუდიკ მარქარიანი (ერკუ-ვანი), 48 კგ. თამაზ ყულაშვილი (სოფ. გამარჯვება), 47 კგ. მანუჩარ ბეშირა-ოღლი (სოხუმი), 50 კგ. მა-ლხაზ მხეიძე, 55 კგ. ცოტნე გიორ-გაძე (ორივე — სამტრედია), 60 კგ. გოგიტა ზამტელაშვილი (თბილისი), 65 კგ. სოსო გელიძე (ქუთაისი), 70 კგ. კახაბერ ვერსიფაშვილი; 75 კგ. აბაბა მასსურაძე (ორივე — თბი-ლისი), 82 კგ. ლუკა კობია (სოხუ-მი), 95 კგ. კახაბერ შოშიტაშვილი (სოხუმი), მამუკა წანა. მამუკა ფრე-წუაშვილი (ყვარელი).


სურათი: შეგებრებაში გა-მარჯვებულია ქვეყნის პირადი-ფორტო.

ფოთელ მოგადრაპთა ნარკებმა

რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზე-თის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტა-ჯიკეთის, საქართველოსა და ბაშკი-რეთის კოლექტივები მონაწილეობ-დნენ უზბეკეთის დღეაქალაქ ტაშკენ-ტში გამართულ ფესტივალ „ახალ-გაზრდულ ცვლაში“. შეგებრებაზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდს წარმოადგენდნენ ფოთელი მოგადრა-პები: დავით კოლუა, ზურაბ, ლაშა

შენგელიძე და თეა ბერაია, რომ-ლებმაც წარმატებით იასარჩეს — ქულანახევრით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ მასპინძელთა გუნდს და უზბეკეთის კომპოზირის ცენტ-რალური კომიტეტის მიერ დაწესე-ბულ თასსაც დაუფლნენ. ფოთის გუნდის წევრები ოქროს მედალები-თა და ფულით დაჯილდოვდნენ.

ბრისტან მანია.



ფინალი: ზოტაქმეიკოსები — „ასი“

გაუთხიფი სპორტსახეობის ვარ-კეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის სარაზბო მინდორზე გაი-მართა საქართველოს 22-ე ჩემპი-ონატის ფინალური ასპარეზობის მე-სამე ტურის ორი შეხვედრა, რის შემდეგაც გაირკვა დასკვნითი მატ-ჩებში ვინ რომელი ადგილისათვის იბრძოლებს.

უნივერსიტეტი (თბილისი) — „ასი“ (თბილისი) 19:18 (18:9). გამარჯვებული ქვეყნულში მეორე ადგილს იკავებდა და საერთო მე-სამე ადგილის მოპოვების შანსს ინ-არჩუნებდა. ორივე გუნდის სასახე-ლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შე-მტრეთა თამაში ამჟამად რაგბისა-ლში ისეთ ანგარიშთან მიდგომას, სა-კავშირო ჩემპიონატის მატჩებს ულ-იშობა სწავლობდა რომ აქცეს ხო-ლმე. უნივერსიტეტი თავიდანვე 10 ქულით დაწინაურდა: უკვე მე-7 ქულისთვის შენგელიძე და თურქა-

ძემ ორი ლამაზი ლელო გაიტანეს, რომელთაგან ერთი გარდასახა ახო-ბადებაში... პიათურელები მარცხმა არ დაბნია. მათ უმაღლე შეუტრეს და, ლამის იყო, ლელოც გაიტანეს, ტა-იმის შეაწყლში კი „სამთოელის“ მცველმა საცერაძემ ურთაზარ 9 ქულა მოაგროვა: შეავლო საჯარიმო და თავად გარდასახა საჯარიმო ლე-ლო, რომელიც მის წინააღმდეგ უზ-ემი თამაშისთვის დაინიშნა. მალე ახობადემ საჯარიმოდან გაიტანა ბუ-რთი, რასაც პიათურელთა ნამდვი-ლი შტურმი მოჰყვა. ხუთი წუთის მანძილზე „სამთოელი“ სტუდენტთა ლელოს არ მოსცილებია: კარის ხა-ზიდან 3-5 მეტრში, კარის პირდაპირ ზედზედ ინიშნებდა შეტევები. პიათურელთა სასარგებლოდ, „სამ-თოელის“ მოკინალებიც ზემოდავრი ბიძგით უკან ახევიანდნენ სტუდენ-ტებს, მაგრამ ვერაფრით ახერხებ-დნენ, ლელომდე მიტანილი ბურთი როგორმე ხაზშიღოჭა გადაეცნათ. ეტყობა, უეარჯიშებელმა „სამთოე-ლმა“ იმდენი ძალა შეაღია ამგვარ ახორბას, რომ მეორე ტაიმში თამაშის ხალისი მთლად დაეკარგა. მართალია, პიათურელებმა შესვენე-ბის შემდეგ უმაღ გაათანაბრეს ან-გარიში (ხარშილოძემ, ლელოს გატა-ნით), მაგრამ 4 წუთის შემდეგ ახო-ბადემ 35 მეტრიდან დიდებულად დაარტყა არეწილი, გულმოცემულმა უნივერსიტეტის გუნდმა საფუძე-ლიანად იგლო ხვალ უპირატესობა და შეხვედრის მიწურულს ახობადემ კიდევ ერთი საჯარიმო შეავლო.

„ასი“ (ქუთაისი) — „ასი“ (თბი-ლისი) 18:18 (9:10). ეს მატჩი წი-ნასწარი შეხვედრების შვენიერა იყო და ისე წარმოებდა, რომ ბოლო წუ-თებამდე არცერთ გუნდს ხელს არ აძლევდა იმ დროისათვის არსებუ-ლი ანგარიში. სპი-ს ქვეყნულში მე-ორე ადგილზე გასასვლელად, სულ

თბ. 23.4 23

ალბარნაბიზა?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ფინალურად, შენიშვნები, მოსახრებები

ჩემპიონატი პიტიტო

1990 წლის ჩემპიონატი ჯობს ძველებურად ჩავატაროთ, „ლელო-ში“ დისკუსია დავამთავროთ, გუ-ნდები მომავალი სიხლისთვის მო-ვაშალოთ, რესპუბლიკის ავტონო-მიურ რეგიონებსაც მივცეთ შესა-ძლებლობა ჩავაბათ ამ მუშაობაში. უფდასა და ფიფა-ში დამოუკიდე-ბლად შესვლასაც კბილი მოვუსინ-ჯოთ, ქართველ ხალხს ნება ვთხო-ვით და მხოლოდ ამის შემდეგ მივიტანოთ იერიში მბრძანებელურ-ბიუროკრატიულ ციხე-სიმაგრეზე. ნათქვამია: „სანამ შეხვედრად, და-უფიქრდი როგორ გამოხვიდე“. ამ კუთხითაც ხომ უნდა განვიხილოთ იმათი წინადადება, რომლებიც მხარს უჭერენ სსრ კავშირის ჩემპიონატ-დან დაუყოვნებლივ გამოსვლას. გე-თანხმები იმით, ვინც „სიშობს, რომ საკუთარი ნაუჭუში ჩავიკეტებით თუ წინასწარ განადგურებული არ იქნება საერთაშორისო საფეხბურთო მოძ-რაობაში ჩართვა.

სოხუმის „დინამო“ წელს არ-ნახულ წარმატებას მიაღწია — პი-რველ ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. წარმოვიდგინოთ მათი სი-ხარული, მომავალზე ოცნება. ასეთ კულმინაციურ მომენტში ჩვენ მას ვთავაზობთ შეიცვალოს მძაფ-რული.

საქიროა შევქმნათ უფთესი თუ არა, საკავშირო პიტიტების შესაბა-მისი მატერიალური და მორალური

წახალისების ფორმები მაინც. ჯერ პიტიტები შევქმნათ და მერე დავიწყ-ოთ ეროვნული ჩემპიონატი და არა, პიტიტო.

სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიან უხეირო დროს გვიხდება ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისათ-ვის ბრძოლა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრივილეგიუ რომ ვი-ყოთ, მეტი წონა გვექნებოდა. აი ამ თეზისთან დაკავშირებით ექვი და-მებადა: რატომ „დაიწყა“ ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის ბრძო-ლა ღრმა კრიზისში მყოფი ფეხბურ-თით და არა აღიარების ზენიტში მყოფი ქალბატონი? ვის უფრო მეტი შანსები გააჩნია გახდეს სსრკ-ში და-მოუკიდებელი და შესაბამის საერ-თაშორისო სპორტული ორგანიზაცი-ების წევრი?

რას ნიშნავს ეს, შემთხვევით მო-მხდარ ტაქტიკურ შეცდომას თუ წი-ნასწარ დაგეგმილ ავანტიურას?

ფეხბურთის ქართული გულშე-მატიყრები დაღინებული არიან, რომ „დინამო“ დაკარგა საკუთარი რწმენა და მეტოქისთვის უშიშარი გახდა. არავინ იცის, როდის გველი-რება კიდევ საჩემპიონო გუნდი. უარესი: ახალ სეზონში ოცეც საზ-რუნავი გვექნება, რაც წლეულს და-შარშან — როგორ შევინარჩუნოთ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ახლა სახელების შესახებ. მიუხე-დავად დისკუსიისა, ეს ჯერ არ მო-ხერხდა. ურთიდან ისიც კი მოვისმინე: „მთელი საქართველო რომ გაფიცუ-

ლიყო, „დინამოს“ მაინც „დინამო“ ერქმეოდა“.

კიდევ ერთი: მიუხედავად „ლე-ოს“ თხოვნა-მუდარისა, რატომ არ გამოთქვამენ თავიანთ აზრს სპე-ციალისტები?

...აი ასეთ სიტუაციაში საქართვე-ლოს ეროვნულ ჩემპიონატზე დღეს ყურადღების გაღება, საკუთარი ცოდნების მხოლოდ საკავშირო ორ-განობისათვის გადამრალეობა, აქა-ოდა მსაჯები განგებ გვიგარავნო... საეჭვოდ შეგვიჩნება. მსაჯები ყვე-ლგან სცდებიან — საქართველო-შიც, რუსეთშიც და უცხოეთშიც. მი-კერძოებული და არაობიექტური მსა-ჯობა არ გამოდგება თბილისის „დი-ნამოს“ ჩავარდნის მიზეზის ასახს-ნელად.

იქნებ იმიტომაც ეჭვარობთ ერო-ვნული ჩემპიონატის დაწყებას, რომ „დინამო“ გადავარჩინოთ და თბილისიდან პირდაპირ გზით, თ-თქმის უბრალოდ და დაშვებით, ხელეუბნ ვერაშასა და მსოფლიო ფეხბურთის „გარანტებს“ დავატავოთ. არის კი გარანტია, რომ ჩვენს მიერ არჩეული ახალი გზა მხოლოდ ია-ვარდებით იქნება მოგვნილი? რა ვქნათ მაშინ, ეკალ-ბარდები რომ დაგვხედონ — საით წავიდეთ?

ხომ არ დაიღა დრო დავფიქრდეთ, რამდენად სასარგებლოა ჩვენთვის პირადი და ჯგუფური ინტერესების ქართული ფეხბურთის საზომად და ორიენტრად გამოყენება?

ოთარ ზაზაშვილი.

თბილისი.

მხარს ვუხარა

მე, თბილისის „დინამოს“ სტა-ეიანი (40 წ.) გულშემატიყარი, მხარს ვუჭერ ქართული ფეხბურ-თის ავტორიტეტის ამოღებისაგან გაშიზულ ღონისძიებებს, მომეწი-ონა ა. ჟღერის წინადადება საქა-რთველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის აღდგენა-აღორძინების შე-სახებ. ჩემი აზრით, საქიროა დრო-ის დაუკარგავად დავაყრდნოთ დღის წესრიგში საქართველოს

ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შექმნის საკითხი, არჩეულ იქნას ნაკრების ხელმძღვანელობა და გა-იშალოს მუშაობა. ნაკრების მთა-ვარი მწვრთნელის პოსტზე უკი-ლობელ კანდიდატად მიმართა ნოდ-არ ახალაშვილი კანდიდატურა.

მგონია, რომ არ უნდა გაეგრძეს 26 მაისს, ნაკრებთან შეხვედრაში პარტნიორის გამონახვის საკითხი. აქ შეიძლება საქართველოს ნაჭ-რებს პარტნიორად მოეგონოს: ინგლისის, იტალიის, ესპანეთის,

ბასკეთის, ისრაელის, ირანის, თუ-რქეთის ან სხვა ქვეყნის ნაკრები გუნდები. საქიროა მხოლოდ გულ-დავლ ვარჯიში, ბეჭდის საჩემპიო-ბა, ორგანიზებულობა და ძალისხ-მევა საქართველოს დამოუკიდებლ-ობის დღისაღმის ღონისძიებებზე-ვედრისათვის, რომლის გვირგვინი იქნება მატჩი ფეხბურთში საქარ-თველოს ეროვნული ნაკრებისა და უცხოეთის რომელიმე ქვეყნის ერო-ვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ანელ ჩხაიძე.

არა „დამოუკიდებლობა“ თახი“. არამედ „ეროვნული თახი“

ვეზირი იმით, ვისაც აღიზი-ანებს განსაზღვრულ საკითხში დი-ლექტანტური მსჯელობა და მიკერ-ძობული განსჯა. ემოციები ერო-ვნულ საქმეში არასოდეს ყოფილა მყარი დასაყრდენი. ჩვენი საფეხ-ბურთო ჩემპიონატიც ეროვნული საკითხია. მე კონკრეტულად გეტყ-ვით: 1. ჯერ ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის; 2. ჩავატაროთ

მხოლოდ „ეროვნული თახის“ გა-თამაშება; 3. ავამოლოთ საქართვე-ლოს ტრადიციული ჩემპიონატის ავ-ტორიტეტი; 4. ვავალით მუშაობა საერთაშორისო საფეხბურთო ორ-განიზაციებში (უეფა, ფიფა) გასა-ერთიანებლად.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება: გათამაშებით „ეროვნული თახი“ და არა „დამოუკიდებლობის თახი“.

არ მიმართა გამართლებულად

საქართველოს ეროვნული ჩე-მპიონატის ჩატარება არ მიმართა გამართლებულად, ვინაიდან ეს არ მიგვიყვანს საბოლოო მიზანმდე-სანამ საქართველოს არ მოუპო-ვებია სრული პოლიტიკური დამო-უკიდებლობა, ჩვენი გუნდები ან ნაკრები, ოფიციალურად ვერ გავა-საერთაშორისო არენაზე, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. ამიტომ ჩვენი გუნდები აუცილებლად უნ-

და მონაწილეობდნენ სსრკ-ის ჩე-მპიონატში. გარდა ამისა, უნდა ჩა-ტარდეს საქართველოს „დამოუკი-დებლობის თახის“ გათამაშება სა-ქართველოს საუკეთესო გუნდებს შორის. ჩემპიონატი რომ უფრო პრესტიჟული და საინტერესო გა-მოდგეს, აუცილებლად მიმართა, რომ საპირისო ადგილებზე გასული გუნდებისათვის დაწესდეს დიდი ფუ-

ლადი ჯილდოები და სხვადასხვა ძვირფასი პრიზები (გაფისნოთ, რა კარგად ჩატარდა მ. მესხის ტუ-რნირი). ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ფულადი ჯილდოები და პრიზები გამორიცხავს მრავალ მან-კიერ მხარეს, არც ხდება ჩვენს ფე-ხბურთში, კერძოდ, საქართველოს ჩემპიონატში, გვულისხმობ გუნდ-ებს შორის წინასწარ გარიგებებს და ანგარიშებს.

თამაზ ბარაძე,

თბილისი.

აუცილებელია...

დიდი ინტერესით ვკითხულობ თქვენი გაზეთის ყოველ ნომერს, რომელიც ფეხბურთის თემის შეე-ჩება. პირდაპირ ვიტყვი: არა ვარ მომხრე, ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით და არ, რატომ: ის მოწვევული ფეხბურთელები, რომ-ლებიც ამჟამად „დინამოს“ სახელს იცავენ, თუ დაბრუნდებიან თავი-ანთ პირველად კლუბებში, ვინ და-გვრჩება მაშინ „დინამოში“? ახალ თაობას გავზრდით? კი, ბატონო! მაგრამ რამდენი ხანი გავიდა და „დინამოში“ არ გვინახავს, მესხის, მეტრეველის, ხუცილავას, ჩივა-

ძის, ყიფიანის, მაჩაიძის, ღარსე-ლის, გუცაიის შემცვლელები. ყველას კარგად გვახსოვს მეტრე-ველის წასვლის შემდეგ გოვა გუ-ცაიე როგორ ათამაშდა „დინამოში“ ნუ მიწვევენ, დღევანდელი „დინა-მოელები, მაგრამ პირადლ მე ვერ ვხედავ მათს ღირსეულ შემცვლე-ლებს.

დავუშვათ, რომ ჩავატარებ ერო-ვნული ჩემპიონატი, მივაღწიეთ ამას. თბილისის „დინამო“ ვერ გა-ხდა ჩემპიონი, ვერც თასი მოიგო და ვერც საპირისო ადგილზე გავი-და და ასე გავგრძელდა რამდენიმე წელს. უფდას თახს და ევროპულ ტურნირებში ვერ გავიდნენ, ხომ ჩაგვეყარა წყალში ამდენი ხნის მოპოვებული ავტორიტეტი? მე სა-

ვსებით ვეთანხმები მოდებამეს, რომელიც ქ. მაკეველიან დავწერს: იმას რა საზიზია, როცა 80 ათასი-ანი „დინამოს“ სტადიონი თბილის-ში სავსეა მაყურებლით და „დი-ნამო“, „დინამო“, „დინამოს“ შე-ძახილში ჩვენი ბიჭები ამარცხე-ბენ „სპარტაკს“, „დნებარს“, მოს-კოვის და კიევის დინამოელებს, „ტორპედოს“, „ზენიტს“ და ა. შ.?

მაშ ნუ ვიჩქარებთ, სსრკ ჩემპი-ონატი აუცილებელია ჩვენი გუნ-დისათვის, უნარი და ძალა შესწავს ჩვენს ბიჭებს, რომ უძლიერესთან ჭიდილში დამტკიცონ საქართვე-ლოსადმი თავიანთი სიყვარული.

მორაზ ვაგაშვილი,

თბილისი.

სსრ კავშირის ჩამოშლის

ბაიბნობი პილაგოლი

გაგებითი

21 დეკემბერი. თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახალხო.

„დინამო“ (თბილისი) — „ბუდიველინი“ (კიევი) 67:68 (29:33).

„დინამო“: სანაძე (22), ტიუბინი (15), დარსაძე (14), ზეგელია (7), დუშუაშვილი (5), უსტინაშვილი (4), ცხედიანი.


„ბუდიველინი“: შაბაძე (27), ორბელი (10), მურზიანი (9), ოკუნი (8), ერმოლინი (5), ზეგელია (4), პინჩუა (3), ლევი (2), უსტინაშვილი, პოდკოვნიკი.

მსაჯე: ბ. ცარიკოვი (გომელი) და ა. აბრამოვი (მინსკი).

საპატიმროს სიტყვები ღინამო-ელთა მისამართით ვის შეიძლება დასცდეს, გული კი გუშინწინდელმა მატჩის შედეგმა ნამდვილად დაგვწყვიტა, ვინაიდან იგი ოდნავადაც არ შეესაბამებოდა ბრძოლის ლოგიკას. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კიევის „ბუდიველინი“ ყოველად უიმედო, ფაქტიურად წაგებულ მატჩში გადარჩენა ჭეშმარიტად „ბრალის“ იმდენად გამაყრდენებს არ მიუძღვის, რამდენადაც დამარცხებულს.

თავი დავანებოთ იმას, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებმა პირველად

დაჩაგრეს ჩემპიონი. თავი დავანებოთ იმასაც, რომ მიზანთან ახლოს მყოფმა ღინამოელებმა მეორე ნახევარი უფრო უფერულად ჩაატარეს და მეტოქეს გონს მოსვლის, გამოფინების საშუალება მისცეს. ბრძოლა ამის მიუხედავად მოგებული იყო. მეტოქის ბოლო წუთზე „დინამომ“ ორი ურეალურესი შანსი გაუშვა ზედიდან და ამით დიდსულოვნად დაუთმო გამარჯვება მეტოქეს. ერთზე მსაჯის საფინალო სასტვენამდე 60 წამით ადრე, როცა თბილისელები წინ იყვნენ 2 ქულით (67:65) ფარგულში მართლდარჩენილმა უსტინაშვილმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის ასპროცენტური შესაძლებლობა, მეორედ კი დარსაძემ მეტოქის დაზარალებამდე 20 წამით ადრე ზედიზედ სამი საჭარბო სროლა ააცილა მიზანს. ანგარიში მაშინ 68:67 იყო „ბუდიველინი“ სასარგებლოდ. ამ ორმა დამატებულმა შემთხვევამ ჩემპიონს ნაბატრი, მაგრამ დაუჭერებელი გამარჯვება მოუტანა. როგორც ზემოთ ვთქვით, ყველაფერი ამის მიუხედავად საყვედურის სიტყვები ღინამოელთა მიმართ მაინც არ დაგვცდება. „დინამომ“ ყველაფერი გააკეთა რაც შეეძლო, ცოტა უფრო მეტიც და მხოლოდ ბრმა შემთხვევით გამო მოეცა რაღაცის მიღების ხელსაყრელ მდგომარეობაში. და მაინც, ორ გარემოებას ხაზი უნდა გავუსვათ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეს საბედისწერო მატჩი ჩვენმა კალათბურთელებმა ერთადერთი ქულით წააგეს. არადა, მეტოქის მსგელობაში რვაჯერ ვერ გამოიყენეს საჭარბო ტყუარცა და კიდევ, რაც არანაკლებ საგულისხმოა, ჯარიმების მეტი პროცენტი ღინამოელებმა თავდასხმაში მიიღეს. მატჩის დამთავრების ოთხნახევარი წუთი აქლდა, როცა ხუთი პერსონალური შეცდომისთვის მოედანი დატოვა მეტოქეობა. ჩვენთვის ეს დანაკლისი კეტასტროფის ტოლფასი იყო და ვინაიდან ეს ჭარბობით ასეა, მეტოქეობა მეტი ყურადღებით უნდა ითამაშოს თავდასხმაში. დაცვაში მიღებული ჭარბობა, ასე თუ ისე, კიდევ აქვს გამართლება, თავდასხმაში მე-

ტოქის უფლება კი, რბილად რომ ვთქვათ, ღირს გულს არა აქვს. მეტოქის პირველი ნახევარი „დინამომ“ დიდოსტატური სტილით ჩაატარა ისე, რომ მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა. მეორე ტაიმში უფრო სუსტი იყო, მაგრამ იმდენად არა, რომ ბრძოლა წაგო. ის, რაც მატჩის მიუზრუნვლს მოხდა, ბედისწერა იყო და ამიტომაც შედარებით ადვილად მოვიწვით. ყოველი სწორად გაგებულ მარცხი გაცივითლია. თბილისის „დინამომ“ ამ დღეს ცაიტრატ-ში თამაშის ერთი დიდი გაკვეთილი მიიღო, რომელიც მას, დაწმუნებულ ვართ, მომავალში გამოადგება.

სსსპ მატჩები

უმაღლესი ლიგის კალათბურთის ელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში კიდე „ბაიბნობი“ და „პილაგოლი“ მეტოქეობა გაიმართა.

30 დეკემბერი. მეორე მატჩი ცსკა-მ ადგილობრივი „სტატბას“ დიდი ანგარიშით (44 ქულით) მოუგო — 120:76 (59:36).

„სტატბას“ შემდეგ არმიელები კლუბში ადგილობრივი „ჟალგირის“ მეტოქეა. ცსკა-მ ეს მეტოქეობა მოიგო 89:90 (48:35) და კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. იგი გათამაშების ერთი-როვნული ლიდერია და უახლოეს მდევარს, რიგის ვეფ-ს 5 ქულით უსწრებს.

ლენინგრადი. „სპარტაკი“ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია რიგის ვეფ-ს. პირველი ტაიმი ნებისმიერ შემთხვევაში კალათბურთელებმა 5 ქულით მოიგეს 36:31, მაგრამ მატჩის ძირითადი დრო ფრედ. (74:74) დამთავრდა. დამატებით დროში ლენინგრადის კალათბურთელებმა იმარჯვეს და საბოლოო გამარჯვებაც მოიპოვეს — 87:81.

მოსკოვი. ადგილობრივმა „დინამომ“ კიდევ ორი ქულა აიღო. ამჯერად მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივი დაამარცხა 96:87 (50:44).

მატჩები იანვარში

1990 წლის 6 იანვარს დაიწყება უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მესამე-მეოთხე წრის მატჩები. შეჯიბრებაში ოსტატთა გუნდებთან ერთად ჩაებმებიან ახალგაზრდული შემადგენლობანიც.

ქვემოთ გათვალისწინებული მატჩების დაწყების თარიღები:

6-7 იანვარი. რტი (მინსკი) — „უალგირის“ (კაუნასი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ცსკა.

7-8 იანვარი. „დინამო“ (თბილისი) — აბკ (ალმა-ათა).

8-9 იანვარი. ვეფ (რიგა) — „ბუდიველინი“ (კიევი).

10-11 იანვარი. „კალევი“ (ტალინი) — ცსკა, რტი — „სტატბას“ (ვილინი).

11-12 იანვარი. „შახტიორი“ (დონეცკი) — სსკ.

12-13 იანვარი. „ჟალგირის“ — „ბუდიველინი“, „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“.

კიევი — „დინამო თბილისი“, ვეფ — „სპარტაკი“.

16-17 იანვარი. „სტატბას“ — „დინამო“ (თბილისი), რტი — „სპარტაკი“.

17-18 იანვარი. „ბუდიველინი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“.

19-20 იანვარი. „ჟალგირის“ — 30 ვეფ.

21-22 იანვარი. ცსკა — „შახტიორი“, აბკ — „კალევი“.

22-23 იანვარი. „ბუდიველინი“ —

„დინამო“ (მოსკოვი). I-II წრის მატჩები.

23-24 იანვარი. „სტატბას“ — 30 ვეფ.

26-27 იანვარი. „ჟალგირის“ — „დინამო“ (მოსკოვი).

27-28 იანვარი. „ბუდიველინი“ — აბკ.

30-31 იანვარი. „სპარტაკი“ — „ბუდიველინი“.

31 იანვარი — 1 თებერვალი. „შახტიორი“ — „სტატბას“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 დეკემბრისთვის

ცსკა	20	19	1	89
ვეფ (რიგა)	21	18	8	84
„ჟალგირი“ (ტალ.)	21	11	10	82
„დინამო“ (მოსკ.)	19	12	7	81
„ბუდიველინი“ (კ.)	19	12	7	81
აბკ (ალმა-ათა)	18	12	6	80
რტი (მინსკი)	21	9	12	80
„ჟალგირისი“ (კაუნ.)	20	9	11	79
„სპარტაკი“ (ლენ.)	21	7	14	78
„შახტიორი“ (დონ.)	20	7	13	77
„დინამო“ (თბ.)	18	7	11	75
„სტატბას“ (ვილი.)	22	2	20	74

კალათბურთი

დარჩა ფინალში

23 დეკემბერს ბავშვთა კალათბურთის სახალხო (კიევის ბაღი) გაიმართება ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვებიან საქართველოს ფინალურების ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

ქვემოთ გათვალისწინებული მატჩებისა და მესამე ადგილისათვის გამართული მეტოქეობის შედეგები:

I ნახევარფინალი

27 ნოემბერი. საქართველოს ფინალურების ინსტიტუტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 99:94 (54:46). მსაჯე: გ. ავალიშვილი (საერთაშორისო კატეგორია), რ. გელაშვილი (საქართველო კატეგორია).

ფინალური ინსტიტუტი: კობეშვიდი (34), დარსაძე (23), უძილაური (15), ჩერქიშვილი (13), ლიპარტელიანი (13), ტუხაშვილი (1).

უნივერსიტეტი: ბერუაშვილი (30), კოკოლიშვილი (20), აბგელ-დანი (14), გ. ქართველიშვილი (13), ტურაშვილი (11), რევაზიშვილი (2), საკანდელიძე (2), ქ. ქართველიშვილი (1), ჯაფარიძე (1).

28 ნოემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — საქართველოს ფინალურების ინსტიტუტი 92:96 (54:47). მსაჯე: მ. ქუჩიძე (საერთაშორისო კატეგორია), გ. ავალიშვილი (საერთაშორისო კატეგორია).

უნივერსიტეტი: ბერუაშვილი (26), ხუბაშვილი (15), რევაზიშვილი (15), კოკოლიშვილი (10), აბგელ-

დანი (9), საკანდელიძე (8), გ. ქართველიშვილი (5), ქ. ქართველიშვილი (3), ჯაფარიძე (1).

ფინალური ინსტიტუტი: ჩერქიშვილი (39), კობეშვიდი (31), დარსაძე (14), უძილაური (8), ლიპარტელიანი (2), მოლოდინაშვილი (2).

II ნახევარფინალი

29 ნოემბერი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 130:79 (58:42). მსაჯე: გ. გელაშვილი (საქართველო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საქართველო კატეგორია).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (35), გეგეშიძე (26), პეტრიაშვილი (11), გაბრიძე (10), ორბელიანი (8), ზ. ცაგარეიშვილი (7), გოგელია (6), კობეშვიდი (6), კეზეშვილი (6), გ. ცაგარეიშვილი (5), სხიერელი (5), ფაშაიძე (5).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: სულავა (24), პირველი (22), კიბია (10), საგაძე (10), კიბიათა (4), ფაშაიძე (4), ზამთარია (3), კოლოცაძე (2).

30 ნოემბერი. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 78:101 (40:51).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: სულავა (22), კიბია (17), პირველი (11), სონინი (9), საგაძე (6), კიბიათა (6), ბაღა-თურია (3), ზამთარია (2).

საპარტველოს პირველობა

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (37), გეგეშიძე (17), ვაშაიძე (15), გაბრიძე (9), ც. გარეიშვილი (7), კობეშვიდი (5), პეტრიაშვილი (4), სხიერელი (2), ც. გარეიშვილი (2), ორბელიანი (2), კეზეშვილი (1).

მატჩები III ადგილისთვის

1 დეკემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (სოხუმი) 98:91 (55:46). მსაჯე: გ. ოსიაშვილი (საქართველო კატეგორია), ზ. ზამთარია.

უნივერსიტეტი: აბგელ-დანი (22), გ. ქართველიშვილი (14), კოკოლიშვილი (14), ბერუაშვილი (11), რევაზიშვილი (10), ტურაშვილი (10), ქ. ქართველიშვილი (9), საკანდელიძე (8).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: სულავა (34), სონინი (25), საგაძე (15), კიბიათა (7), კიბია (7), პირველი (3).

2 დეკემბერი. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 84:112 (55:56).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: სულავა (18), კიბია (16), ზამთარია (16), პირველი (13), სონინი (11), კოლოცაძე (10).

უნივერსიტეტი: ტურაშვილი (30), კოკოლიშვილი (24), აბგელ-დანი (19), ბერუაშვილი (19), ქ. ქართველიშვილი (12), გ. ქართველიშვილი (8).

პოლანდიელთა მარცხი

საერთაშორისო საფეხბურთო წრეების საუკვეთო ყურადღების ცენტრში იდგა 19 დეკემბრის ამხანაგური შეხვედრა პოლანდიელთა პოლანდიელთა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. საინტერესო მატჩი მიმდინარეობდა პოლანდიის ფეხბურთის ფოტოგრაფიის 100 წლისთავს.

მატჩს პოლანდიელები არ აკლდა, ბრაზილიელები კლავინდენტურად ინარჩუნებდნენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდის რეპუტაციას და XIV მსოფლიო ჩემპიონატის ფაფორიტები არიან, მაგრამ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების სრული შესაძლებლობა აქვთ პოლანდიელ ფეხბურთელებსაც, რომლებიც ევროპაში უძლიერესი გუნდის ტიტულს ფლობენ.

პოლანდიელებს ახლა, როგორც

ცნობილია, ტის ლიბრეტის წერტის. ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის წინ მან განაცხადა, რომ ამხანაგური „საერთაშორისო“ შეხვედრა ბრაზილიის ნაკრებთან გაჩვენდნენ სიცხადეს შეიტანს მსოფლიო ფეხბურთის ელ-იტაში.

მატჩი, მართლაც, მეტად დაძაბულად წარიმართა. თამაშის ბედი გადაწყდა 54-ე წუთზე, როცა ბრაზილიელმა კარეკამ, რომელიც ამჟამად იტალიის „ნაპოლიში“ გამოდის, თავით გაიტანა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

პოლანდიელები დამარცხდნენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათ შესუსტებული შემადგენლობით თამაშეს, რძოდ, არ გამოდიოდნენ ისეთი რანგის ფეხბურთელები, როგორებიც გულიტი, ვან ბასტენი და რაიკარდო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. ვან ბასტენიც, ფ. ბერესიცი და ფ. რაიკარდოც იტალიის „მილანში“ გამოდის.

„ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატი მარმანდელის მსგავსად კვლავ პოლანდიელი მარკო ვან ბასტენი იქნება. დასახელებს მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ფეხბურთელთა გვარებიც: იტალიელი ფრანკო ბერესი და პოლანდიელი ფრანკ რაიკარდო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. ვან ბასტენიც, ფ. ბერესიცი და ფ. რაიკარდოც იტალიის „მილანში“ გამოდის.

ლოი ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები. წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღწია — 0:0.

იტალია-არგენტინა 0:0

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებმა, იტალიელმა ფეხბურთელებმა განვილ ხუთმბათის რომის სტადიონზე მიიღეს მსოფ-

